კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
მისამართი - მ.ალექსიძის 1/3

სიმართლე თებერვალზე

(25 თებერვალი ემიგრანტული არქივების ფურცლებზე)

21 თებერვალს, 12:30 საათზე კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი საქართველოს ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით დაინტერესებულ საზოგადოებას სთავაზობს საგამოფენო-საგანმანათლებლო პროგრამას **„სიმართლე თებერვალზე“ (25 თებერვალი ემიგრანტული არქივების ფურცლებზე).**

პროგრამა გულისხმობს გამოფენასა და საგანმანათლებლო პროგრამას. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ცნობები: გიორგი კვინიტაძის, თამარ და აკაკი პაპავების, ნინო და კალისტრატე სალიებისა და სხვა ემიგრანტულ არქივებში, ასევე პერიოდულ გამოცემებში დაცული მასალა 25 თებერვლის, საქართველოს ისტორიის ამ ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღის შესახებ. გამოფენილი იქნება: პირადი წერილები, შეფასებები ემიგრანტული პრესის ფურცლებზე, მოგონებები, საზოგადოებისათვის უცნობი აუდიომასალა-კარლო ინასარიძის არქივში დაცული რადიო “თავისუფლების“ ჩანაწერები 25 თებერვლის შესახებ, და ა. შ.

სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეების, სტუდენტებისა და დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის შედგება სალექციო შეხვედრები. 21 თებერვალს ლექციას წაიკითხავს ბექა კობახიძე, ისტორიის დოქტორი (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო). თემაზე - „ საბჭოთა ოკუპაციის საერთაშორისო წინაპირობები“. 24 თებერვალს ლექციას წაიკითხავს რუსუდან ნიშნიანიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თემაზე „XX საუკუნის 20-იანი წლები და საქართველოს თავგადასავალი“.

გამოფენა 24 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება და ნებისმიერ მსურველს შეეძლება მისი დათვალიერება.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე
mariamjabidze@gmail.com
598 175 777; 577 977 199
თამარ გურგენიძე
friends@manuscript.ac.ge
599 899 628